

პროქტოლოგია

(პროგრამის ხანგრძლივობა - 8 თვე)

მუხლი 1. სუბსპეციალობის პროგრამის მიზანი

პროქტოლოგია არის ქირურგიული დისციპლინა, რომელიც ეფუძნება საბაზისო ცოდნას ზოგად ქირურგიაში და მიზნად ისახავს „ზოგად ქირურგიაში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე ექიმ-სპეციალისტების მომზადებას „პროქტოლოგიის“ სუბსპეციალობაში.

მუხლი 2. სუბსპეციალობის პროგრამის ამოცანები

1. „პროქტოლოგიის“ სუბსპეციალობის პროგრამის ამოცანას წარმოადგენს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც სრულყოფილად ერკვევა პროქტოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკაში, დიაგნოსტიკაში, ქირურგიული მკურნალობის მეთოდის და ქირურგიული ჩარევის მოცულობის ჩვენებებში და ფლობს ოპერირების პრინციპებს და მანიპულაციების ტექნიკას.

2. პროგრამის დასრულების შემდეგ მაძიებელი უნდა სრულად ფლობდეს:

- ა) პროქტოლოგიური დაავადებების ეპიდემიოლოგიის და პათოგენეზის საფუძვლებს;
- ბ) პროქტოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკის მეთოდებს;
- გ) პროქტოლოგიური დაავადებების დიფერენციული დიაგნოსტიკის მეთოდებს;
- დ) პროქტოლოგიური დაავადებების კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის მეთოდებს;
- ე) პროქტოლოგიური დაავადებების ქირურგიული მკურნალობის ჩვენებებსა და ტექნიკას.

მუხლი 3. სუბსპეციალობის პროგრამის აქტუალურობის დასაბუთება

1. სადღეისოდ პროქტოლოგიური დაავადებების ქირურგიული მკურნალობა არის მკურნალობის ყველაზე ძველი და ყველაზე ეფექტური მეთოდი. მას მიმართავენ ხშირად. პროქტოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის პროცესში ქირურგიას მიმართავენ, როგორც მკურნალობის დამოუკიდებელ მეთოდს, ასევე, კომბინაციაში კონსერვატიულ მკურნალობასთან ერთად. აღნიშნული სუბსპეციალობის მქონე ქირურგს (ექიმს) უნდა შეეძლოს ზუსტად დასვას დიაგნოზი და გაატაროს დიფერენცირებული დიაგნოსტიკა სხვა კლინიკურად მსგავს პროცესებთან. გარდა ამისა, პროქტოლოგს უნდა ჰქონდეს სათანადო საბაზისო თეორიული ცოდნა ზოგად ქირურგიაში, ონკოქირურგიასა და კოლონოსკოპიაში. უნდა შეეძლოს პროქტოლოგიური დაავადებების ინტერდისციპლინური შესწავლის ორგანიზება.

2. პროექტოლოგიის სუბსპეციალობით მზადების ხანგრძლივობა 8 თვეა. ძირითადი საექიმო სპეციალობის „ზოგადი ქირურგიის“ კურსის გავლის და სათანადო სერტიფიკატის მიღების შემდეგ ქირურგი - პროექტოლოგი გაივლის გადამზადებას პროექტოლოგიაში 8 თვის განმავლობაში. ქირურგი-პროექტოლოგის სწავლება გულისხმობს სათანადო მოდულების გავლას. სუბსპეციალობის პროგრამის დასრულებისა და სუბსპეციალობის მოწმობის მიღების შემდეგ პროექტოლოგს უფლება ექნება იმუშაოს პროექტოლოგიურ ან ქირურგიულ კლინიკაში (დეპარტამენტში), წარმართოს პროექტოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, შეასრულოს სამკურნალო და სადიაგნოსტიკო ოპერაციები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქირურგიული ჩვენებებით.

მუხლი 4. სუბსპეციალობის პროგრამის შინაარსი

1. პროექტოლოგია მოიცავს ქვემოთჩამოთვლილ თეორიულ საკითხებსა და შემდეგი დაავადებებისა და პათოლოგიური მდგომარეობების კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას:

ა) თეორიული საკითხები:

პროექტოლოგიურ დაავადებეთა ეპიდემიოლოგიის და პათოგენეზის საფუძვლები, მათი ბიოლოგიური თავისებურებები დიაგნოზის ფორმირება. დიაგნოსტიკის მეთოდები და საშუალებები	5 ლექცია 5 პრაქტიკული
პროგნოზული კრიტერიუმები პროექტოლოგიური დაავადებების დროს	1 ლექცია
პროექტოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის პრინციპები. ქირურგიული მკურნალობის პრინციპები	3 ლექცია, 3 პრაქტიკული
პროექტოლოგიური ოპერაციების სხვაობა	1 ლექცია, 1 პრაქტიკული
პროექტოლოგიური დაავადებების კონსერვატიული მკურნალობის პრინციპები	3 ლექცია, 3 პრაქტიკული
კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობა	2 ლექცია, 4 პრაქტიკული
ტკივილის მართვა პროექტოლოგიურ ავადმყოფებში	2 ლექცია, 2 პრაქტიკული
მსხვილი და სწორი ნაწლავის ნეოპლაზიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპები.	2 ლექცია, 4 პრაქტიკული
პროექტოლოგიურ ავადმყოფთა რეაბილიტაციის პრინციპები	1 ლექცია, 1 პრაქტიკული
მსხვილი და სწორი ნაწლავის კიბოს პრევენციის და სკრინინგის პრინციპები.	2 ლექცია, 2 პრაქტიკული

ბ) შემდეგი ლოკალიზაციის ავთვისებიან სიმსივნეთა კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა (პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამონათვალი):

მსხვილი ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნეები	
---	--

სწორი ნაწლავის კიბო	
კანის კიბო და მელანომა	

2. ქირურგი- პროქტოლოგის აუცილებელი შემდეგი პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ასათვისებელ ოპერაციათა ნუსხა, ჩასატარებელ ოპერაციათა და ასისტენციის რაოდენობა

ოპერაციათა ნუსხა	ოპერაცია	ასისტენცია
I. ჰემოროიდექტომია		
ჰემოროიდექტომია მილიგან-მორგანით	5	5
ჰემოროიდული კვანძების დესტრუქცია ლაზერით	3	2
ჰემოროიდოპექსია	1	1
ჰემოროიდული კვანძის თრომბოზის ევაკუაცია	2	1
ჰემოროიდული კვანძების ლიგირება	1	2
ჰემოროიდული კვანძების სკლეროთერაპია	1	
ჰემოროიდული კვანძების ინფრაწითელი კოაგულაცია	1	
ჰემოროიდული არტერიების ლიგირება დოპლერის აპარატის დახმარებით	1	1
II. ანალური ნაპრალის ამოკვეთა		
ანალური ნაპრალის ამოკვეთა, ლორწოვანზე ნაკერების დადებით	3	2
ანალური ნაპრალის ამოკვეთა, დოზირებული სფინქტეროტომია	2	3
გვერდითი დახურილი სფინქტეროტომია	1	1
ბოტოქსის ინექცია ანალური ნაპრალის სამკურნალოდ	1	1
III. სწორი ნაწლავის ფისტულა		
ფისტულექტომია გაბრიელის მეთოდით	1	2
ფისტულექტომია, პლასტიკა ბუნებრივი შემავესებლის (ფიბრინის წებო ან დამახშობლის) გამოყენებით	1	1
ფისტულექტომია და ფისტულის არხის დახურვა ლორწოვანის გადანაცვლებით	1	

რთული ფისტულის არხის ლიგაცია	1	
რექტოვაგინული ფისტულის ამოკვეთა და ენდორექტულად დახურვა, ლორწოვანის ნაფლეთის გადანაცვლებით	1	
IV. ანალური პოლიპის ამოკვეთა	1	2
V. პილონიდალური სინუსის ამოკვეთა		
პილონიდალური სინუსის ამოკვეთა, ჭრილობის ღიად დატოვებით	2	3
პილონიდალური სინუსის ამოკვეთა ლიმბერგის (Z)-პლასტიკა (ჭრილობის დახურვა)	1	2
პილონიდალური სინუსის ამოკვეთა V_Y-პლასტიკა (ჭრილობის დახურვა)	1	2
აბსცედირებული პილონიდალური სინუსის დრენირება	1	4
VI. მწვავე პარაპროქტიტის დრენირება		
კანქვეშა-ლორწვეშა პარაპროქტიტის დრენირება	1	2
იზორექტული პარაპროქტიტის დრენირება	1	4
პელვეორექტული პარაპროქტიტის დრენირება	1	4
VII. სწორი ნაწლავის პროლაფსის ქირურგიული მკურნალობა		
ოპერაციები ტრანსსაბდომინური მიდგომით	1	
ოპერაციები შორისის მხრიდან მიდგომით	1	1
VIII. მსხვილი ნაწლავის დივერტიკულური ავადმყოფობის ქირურგიული მკურნალობა		
VIII. ოპერაციები მსხვილი ნაწლავის კიბოს დროს		
მარჯვენამხრივი ჰემიკოლექტომია	1	1
განივი კოლინჯის რეზექცია	1	1
მარცხენამხრივი ჰემიკოლექტომია	1	1
სიგმური ნაწლავის რეზექცია	1	1
კოლოსტომის ჩამოყალიბება	1	1
IX . ოპერაციები სწორი ნაწლავის კიბოს დროს		
სწორი ნაწლავის ექსტრიპაცია მუცელ-შორისის მიდგომით (კენიუ-მაილსის ოპერაცია)	1	1

სწორი ნაწლავის მუცლისმხრივი (წინა) რეზექცია	1	1
ჰარტმანის ოპერაცია (სწორი ნაწლავის მუცლისმხრივი ექსტირპაცია, სწორი ნაწლავის ობსტრუქტიული რეზექცია)	1	1

მუხლი 5. სასწავლო პროცესის აღწერა

ქირურგიული პროქტოლოგიის სუბსპეციალობით ზოგადი ქირურგის გადამზადების ხანგრძლივობა არის 8 თვე.

1. სწავლების ეტაპები/სასწავლო პროგრამის კომპონენტები:

სწავლების ეტაპები/სასწავლო პროგრამის კომპონენტები	ხანგ-ობა	
პროქტოლოგიური დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური ნიშნები, მკურნალობის კონსერვატიული და ქირურგიული მეთოდები (მსხვილი ნაწლავიდან პოლიპის მოკვეთა ენდოსკოპიური მეთოდით)	2	თვე
პროქტოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკის მეთოდები (ანოსკოპია, რექტოსკოპია, კოლონოსკოპია)	2	თვე
პროქტოლოგიური დაავადებების ეპიდემიოლოგიის და პათოგენეზის საფუძვლები	1	თვე
ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის პრინციპები. გზები და სახეები); ონკოდიაგნოზის ფორმირება (სტადირება (TNM); კლინიკური ჯგუფები).	1	თვე
კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობა (ქიმია და სხივური თერაპიის, პრინციპები, ჩვენება და უკუჩვენებანი და მათი როლი კომბინირებულ მკურნალობაში).	1	თვე
ანალური მიდამოს მელანომის ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა. რადიკალური და პალიატიური ოპერაციები.	1	თვე

2. სწავლების მეთოდები: თეორიული მეცადინეობები, პრაქტიკული მეცადინეობები, კლინიკური შემოვლები, კლინიკური შემთხვევების გარჩევა, მუშაობა საოპერაციო ბლოკში, მუშაობა ლიტერატურაზე, დისკუსია, პრეზენტაცია;

3. ინფორმაციის მიწოდების ფორმები: ნაბეჭდი მასალა, ვიდეომასალა, პრეზენტაცია, ინტერნეტ-რესურსები.

მუხლი 6. შეფასება

ა) სწავლება წარმოებს მოდულების მიხედვით, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, რეფერატის ტიპის თემატურ ნაშრომს, დღიურის წარმოებას.

შეფასება ხორციელდება შუალედური და საბოლოო გამოცდების შედეგების და ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე.

ბ) ყოველი მოდულის ბოლოს ჩატარდება ეტაპობრივი გამოცდა ქულიანი სისტემით:

ბ.ა) დასწრება - 20 ქულა;

ბ.ბ) თეორიული ცოდნის კომპონენტი - 40 ქულა;

ბ.გ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების კომპონენტი - 40 ქულა;

ბ.დ) მოდული ითვლება ჩათვლილად, თუ შეფასების მაჩვენებელი იქნება 60 და მეტი ქულა;

ბ.ე) თეორიული მასალის ცოდნის შემოწმება მოხდება ტესტირების 40 ქულიანი მეთოდით, მინიმალური ზღვარი 30 ქულა;

ბ.ვ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება მოხდება დღიურის და ლოკალური ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე. მაქსიმალური ქულა 40, მინიმალური ზღვარი 30 ქულა.

გ) ეტაპობრივი გამოცდის არადაამაკმაყოფილებლად ჩატარების შემთხვევაში დგება საკითხი მოდულის ხელმეორედ გავლის შესახებ, რომლის გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის სამუშაო ჯგუფის კრება. გათვალისწინებული იქნება მხოლოდ საპატიო მიზეზები. ეტაპობრივი გამოცდის ხელმეორედ არადაამაკმაყოფილებლად ჩატარების შემთხვევაში, მაძიებელი განთავისუფლებული იქნება პროგრამიდან. პროგრამის ხელმეორედ გავლის შემთხვევაში ბათილი იქნება წინა მოდულის პრაქტიკული მუშაობის შედეგები.

დ) საბოლოო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებისას, გამოცდაზე დაშვების წინა პირობაა შუალედური გამოცდების მინიმალური ზღვარის გადალახვა. საბოლოო გამოცდა წარმოდგენილია ტესტების სახით, შეფასება არის 100 ქულიანი, მინიმალური ზღვარი 80 ქულა.

მუხლი 7. სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი

1. სავალდებულო ლიტერატურა

ა) ASCRS Textbook of colon and rectal surgery 3rd edition (2016)

ბ) Atlas of surgical techniques for colon, rectum and anus by James W. Fleshman Jr MD FACS

Elisa H Birnbaum MD

გ) Colonoscopy: Principles and Practice by Jerome D. Wayne, Douglas K. Rex, Cristopher B. Williams (2003)

დ) De Vita, Hellman and Rosenberg's Cancer Principles & Practice of Oncology Wolters Kluwer/Lippinkott Williams&Wilkins; 9 edition (2011)

2. რეკომენდებული ლიტერატურა

ს) Anorectal and colon diseases textbook by E. Stein

ბ) Schünemann HJ, Jaeschke R, Cook DJ, et al.; ATS Documents Development and Implementation Committee. An official ATS statement: grading the quality of evidence and strength of recommendations in ATS guidelines and recommendations. *Am J Respir Crit Care Med.* 2006;174:605–614.

გ) Sundeana K, Andersen E, Nesvik I, Sundeide JA. Patient characteristics and symptoms in chronic pilonidal sinus disease. *Int J Colorectal Dis.* 1995;10:39–42.

დ) da Silva JH. Pilonidal cyst: cause and treatment. *Dis Colon Rectum.* 2000;43:1146–1156.

ე) Nelamangala Ramakrishnaiah VP, Krishnamachari S. Chronic haemorrhagic radiation proctitis: a review. *World J Gastrointest Surg.* 2016;8:483–491.

ვ) Schünemann HJ, Jaeschke R, Cook DJ, et al.; ATS Documents Development and Implementation Committee. An official ATS statement: grading the quality of evidence and strength of recommendations in ATS guidelines and recommendations. *Am J Respir Crit Care Med.* 2006;174:605–614.

ზ) Хирургия рака прямой кишки. Атлас – Одарюк Т.С. - 2005 год

თ) Textbook of Surgical Oncology. Edited by Graeme J. Poston, R. Daniel Beauchamp. Theo JM Ruers. 2007

ი) Surgical Oncology A Practical and Comprehensive Approach. Authors : Queyen D. Chu, John F. Gibis, Gazi B. Zibari. Springer 2014

კ) Operative Standards for Cancer Surgery: Volume I: Breast, Lung, Pancreas, ... Authors: Heidi D. Nelson, . 2015

მუხლი 8. საერთაშორისო წყაროები, რომლების შესაბამისადაც მომზადდა პროგრამა

- www.nccn.org
- [European Society of Surgical Oncology– www. esso-surgeonline.be](http://www.esso-surgeonline.be)
- [Society of Surgical Oncology – www.surgonc.org](http://www.surgonc.org)
- <https://fascrs.org/healthcare-providers/education/clinical-practice-guidelines>

მუხლი 9. მოთხოვნები სუბსპეციალობის განმახორციელებელი დაწესებულებებისადმი/სასწავლებლებისადმი

1. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პასუხისმგებელ პირზე უნდა მოდიოდეს 2 მაძიებელი.

2. სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის დატვირთვა სუბსპეციალობის ერთ მაძიებელზე გაანგარიშებით უნდა შეადგენდეს საშუალოდ 100 პროქტოლოგიურ ოპერაციას წელიწადში.